ხელშეკრულება

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი ---------- 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველი") მისი გენერალური დირექტორის პაატა იმნაძის სახით და მეორეს მხრივ, ----------(შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის ------ სახით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: „ამანათებთან დაკავშირებული საფოსტო მომსახურებების" (CPV 64113000, NAT------).

2. ხელშეკრულების საფუძველი.

1.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი.

1.2 დაფინანსების წყარო: „ბიოლოგიური საფრთხის შემცირების" პროგრამის HDTRA1-15-1-0062 „დკსჯეც-ის შტამების საცავის დახასიათება ახალი თაობის სექვენირებით" პროექტი.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს, დღგ-ს გარეშე (დანართი #1).

4. ხელშეკრულების ობიექტი

4.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: სტერილური დნმ (ანუ არაინფექციურია); მოცულობა: 250 მკლ სითხე თითო სინჯარაში; სინჯარების რაოდენობა: 20; ყუთის ზომა: 13,3სმ x 13,3სმ x 5სმ; საერთო წონა: 75 გრ; ტრანსპორტირების პირობები: მშრალი ყინული.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 „მომსახურების" ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს „შემსყიდველის" მოთხოვნებს და დადგენილ სტანდარტს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

6.1 „მომსახურების" მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად, „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 „მომსახურების" მიწოდების ადგილი - ამერიკის შეერთებული, New Mexico 87545.6.4

6.3 „მომსახურების„ მიწოდების ვადაა - 2018 წლის -- სექტემბრიდან 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 „შემსყიდველის" მიერ „მომსახურების" მიწოდების დასრულების შემდგომ ფორმდება შესაბამისი დოკუმენტაცია.

7.2 „მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელსაც „შემსყიდველის" მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო „მიმწოდებლის" მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7.3 „მომსახურების" მიწოდებისას გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

7.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და ინსპექტირების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება „შემსყიდველის“ უფლებამოსილ პირებს: ნოზოკომიური, აღმოცენებადი, წყლით და საკვებით გადაცემადი დაავადებების და პარაზიტოლოგიის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი მარინა ლაშქარაშვილი, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში მოვალეობის შესაბამისი შემსრულებელი პირი.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.2 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს ანგარიში გაწეული „მომსახურების“ შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნას „მომსახურების“ რაოდენობა, ერთეულის ფასი და სხვა კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

8.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, „მომსახურების“ მიწოდების შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის ხელის მოწერის დღიდან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

9.1.1 აცნობოს „მიმწოდებელს“ მომსახურების მიწოდების შესახებ.

9.1.2 აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

10.1.3 „შემსყიდველი“/მისი წარმომადგენელი „მომსახურების“ მიღებისას მისი გარეგნულად შესამჩნევი დაზიანებისა ან/და დანაკლისის შემთხვევაში არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა აცნობოს „მიმწოდებელს“ აღნიშნულის თაობაზე, მოითხოვოს „მიმწოდებლის“ წარმომადგენლის დასწრება დათვალიერებისას, უზრუნველყოს შესაბამისი აქტის შედგენა მხარეთა წარმომადგენლებისა და დამოუკიდებელი, კომპეტენტური ექსპერტის მონაწილეობით, რომლის ხარჯებიც ანაზრაურდება „მიმწოდებლის“ მიერ. აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა „მიმწოდებელმა“ უნდა აცნობოს „შემსყიდველს“ აღნიშნული ფაქტის დადგომის შესახებ და მოახდინოს დაზიანების შესახებ აქტის მიწოდება.

10.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

10.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით ‘შემსყიდველის“ დაკვეთას.

10.2.2 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

10.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

10.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილობელი შესრულება.

10.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

10.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

10.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

10.4.1 ტვირთზე/საფოსტო გზავნილზე მფლობელობითი გირავნობის „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების დროულად, სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

10.4.2 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მიერ მიწოდებული „მომსახურების“ ღირებულების სრული ანაზღაურება.

10.4.3 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის მიერ გაგრძელებაზე, თუ ‘შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

10.4.4 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.
10.4.5 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.
10.4.6 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.
10.5 ყველა კომერციული, ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაცია ან მონაცემები, რომლებსაც მხარეები მიიღებენ ერთმანეთისგან, მკაცრად კონფიდენციალურია. ორივე მხარე ვალდებულია, მოეკიდოს ასეთ ინფორმაციას, როგორც საკუთარს და არ დაუშვას ამ ვალდებულების დარღვევა.

11. პირგასამტეხლო

10.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცდენის, ან მიმწოდებლის მიერ პირობების გაუარესების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით მოსაწოდებელი საქონლის 0,1%-ს ოდენობით.
10.2. ხელშეკრულების განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცდენის გარდა, სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში (მოთხოვნილი საქონლის ნაკლები ოდენობით მიწოდება, საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლის შეუსაბამობა მათ შორის ვარგისიანობის ვადის შეუსაბამობა, ტრანსპორტირების რეჟიმის დარღვევა და ყველაფერი დარჩენილი სხვა, რაც გავლენას ახდენს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულყოფილად და ზედმიწევნით შესრულებაზე) დამრღვევი მხარე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1% -ის ოდენობით ყოველი დარღვეული პირობის თითო ფაქტზე დაანგარიშებით.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.
10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.5 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

12. ფორს-მაჟორული სიტუაცია

12.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილემხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
12.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (დაარამხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმიდასხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებომდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიულია ქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

12.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებულიუნდაიქნესკომპეტენტურიორგანოსმიერ.
12.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთარსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონულიფოსტა, კურიერიდასხვა).
12.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
12.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
12.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა Dდროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
12.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუკი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
13.2. ხელშეკრულების 12.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.
13.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე. კერძოდ, „მიმწოდებელმა“ უნდა დაასრულოს დაწყებული „მომსახურება“, თუ მისი შეწყვეტა ფაქტობრივად შეუძლებელია, ან კიდევ ხარჯების გაწევასთან იქნება დაკავშირებული, ხოლო „შემსყიდველმა“ უნდა აანაზღაუროს განხორციელებული „მომსახურების“ საფასური.
13,4, ნებისმიერ დროს მეორე მხარისთვის 10 დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1.მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.3.თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
15.2.ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
15.3.მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
15.4.ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

15.5.კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

15.6.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან.

15.7.წინამდებარე ხელშეკრულების ყველ აცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16.3.ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

16.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

17. დამატებითი პირობები

17.1. ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

18. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
მისამართი: თბილისი, მ.ასათიანის 9
საიდენტიფიკაციო კოდი: 211324351
თბილისი სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგარიშის # GE24NB0330100200165022

„მიმწოდებელი“